ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 8

ქ. ლანჩხუთი **26.07.2023 წელი**
11:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე.
კომისიის წევრები: კარლო კვიტაიშვილი, გოჩა ჯანაშია, ვლადიმერ ნანაძე, ალექსანდრე მახათაძე, გიორგი იმნაიშვილი.

მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსი ვარდენ კვაჭაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი თამარ ფირცხალაიშვილი.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე, გიორგი ჩახვაძე.

კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

მომხრე 6; წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსმა ვარდენ კვაჭაძემ. მან აღნიშნა, რომ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგმა განახორციელა სოფლის ამბულატორიული ქსელის ინფრასტრუქტურული მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ყველა რეგიონში. 1000-ზე მეტი სოფლის ამბულატორიის შეფასებამ აჩვენა, რომ ინფრასტრუქტურა ამორტიზებულია,

შენობების უმრავლესობა სარემონტო და მოუწესრიგებელია, რის გამოც, ვერ ხდება პაციენტებისათვის სათანადო სამედიცინო მომსახურების შესაბამისი სტანდარტის შეთავაზება, ხოლო სამედიცინო პერსონალისათვის სათანადო სამუშაო გარემოს შექმნა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში თუ მოხდება სოფლის ამბულატორიების გადაცემა საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის ბალანსზე, აღნიშნული დადებითად იმოქმედებს ,,სოფლის ექიმის'' პროგრამის განხორციელებაზე. საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი ერთიანი მიდგომით დაიწყებს მუშაობას აბმულატორიების რეაბილიტაცია/მშენებლობისათვის, რათა ქვეყანაში გაუმჯობესდეს პირველადი ჯანდაცვის მიწოდების ხარისხი. აღნიშნულ მიდგომას ასევე იზიარებს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (2022 წლის 18 ივლისის N MOH 0 22 00114172 წერილი).

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის განყოფილების უფროსის ვარდენ კვაჭაძის განმარტებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მართებულია დაკმაყოფილდეს სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის, გიორგი დუგლაძის, 2023 წლის 20 ივლისის N5/39767 მომართვა - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, (ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის: სოფელ ეწერში მდებარე 160.00 კვ.მ. ს/კ (27.11.47.239) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ, შემდგომში აღნიშნული ქონების ა(ა)იპ-საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგისათვის (ს/ნ 402157330) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, სიმბოლურ ფასად 1 (ერთი) ლარად საკუთრებაში გადაცემის მიზნით.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

სხდომის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **/ ზაზა წულაძე/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №8

26.07.2023 წელი
11.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 26 ივლისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფო საკუთრებაში გადაცემის შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: **ზაზა წულაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

26.07. 2023 წელი
11:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	10 50	
2	ალექსანდრე მახათაძე	10 55	
3	კარლო კვიტაიშვილი	10 55	
4	გიორგი იმნაიშვილი	10 56	
5	ვლადიმერ ნანაძე	10 56	
6	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდ	
7	გივი ცინცაძე	არ ესწრებოდ	
8	კახაბერ ასკურავა	არ ესწრებოდ	
9	გოჩა ჯანაშია	10 50	